ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თეთრიწყარო

28/01/2019

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 76

76-13-4-201901281455

,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 ნოემბრის #1138 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ვ“, ,,ე.ე“ ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N200 დადგენილების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტისა და მერიის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის 2019 წლის 25 იანავრის N160 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 19 ნოემბრის N1138 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული კორექტირებული რედაქციით (დანართი 6 ფურცლად).
2. დანართი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.
3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს შესყიდვების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისად უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების თანდართული ფორმით დამტკიცებული შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების 2019 წლის გეგმის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი განხორციელების ორგანიზება/ხელშეწყობა.
4. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია